ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 8-15

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისშესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი 280120000.35.101.016931) და დადგენილების პირველი მუხლის „თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების" (კოდი 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №8):

ა)მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლეები არიან საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი პირები, რომელთაც ეს უკანასკნელი სტატუსი მინიჭებული აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზა" –ში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.";

ბ) მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირმა ან მისმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ელექტრონულ მოდულში განათავსებს მოსარგებლე პირის შესახებ შემდეგი ინფორმაციას:

ა) მოსარგებლე პირის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია);

ბ) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ფორმა №IV-100/ა) შესაბამისი მედიკამენტების მითითებით (მედიკამენტის დასახელება, მედიკამენტის დოზა, მედიკამენტის რაოდენობა).

3. ფორმა №IV-100/ა-ის შექმნის შემდგომ მოსარგებლე პირი ან მისი წარმომადგენელი მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ავტომატურად მიიღებს მოთხოვნის უნიკალური კოდს და მოთხოვნის ფორმას, რომელიც პირადობის მოწმობასთან ერთად უნდა წარუდგინოს მიმწოდებელს არაუგვიანეს მისი მიღებიდან 30 დღისა.

4. პირის ან მისი წარმომადგენელის მიერ მოთხოვნის უნიკალური კოდის წარდგენის შემდგომ მიმწოდებელს აღნიშნული კოდი შეყავს ელექტრონულ მოდულში, რომლის შემდეგ გასცემს პირისთვის ელექტრონულ მოდულში რეგისტრირებულ მედიკამენტებს.

გ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე